

შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
I. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა - ჯამური ქულის მაქსიმუმ 25%		
1. პოლიტიკა და სტრატეგია	გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სტრატეგიები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; პრიორიტეტული მიმართულებები რელევანტურადაა განსაზღვრული და შეესაბამება მთავარ გარემოსდაცვით ზეგავლენებს; კომპანიას აქვს საკითხისადმი თანმიმდევრული მიდგომა.	0-5 ქულა
2. აქტივობები	პროექტები/ინიციატივები/აქტივობები დივერსიფიცირებულია და მოიცავს გარემოზე კომპანიის ძირითადი ზეგავლენის სფეროების უდიდეს ნაწილს.	0-5 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის ნაჩვენები გაზომვადი შედეგები/პოზიტიური ცვლილება და გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა როგორც მიზნობრივ საკითხებზე, ისე კომპანიაზეც.	0-5 ქულა
4. მართვა	კომპანიაში არის ეფექტიანი გარემოსდაცვითი მართვის სისტემები; კომპანია ატარებს გარემოზე თავისი ზემოქმედების შეფასებას, ეწევა საქმიანობის მონიტორინგს და ზრუნავს გაუმჯობესებაზე.	0-5 ქულა
5. ჩართულობა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია	კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ისმენს მათ მოსაზრებებს; აშკარაა პარტნიორული მიდგომები.	0-5 ქულა
II. პასუხისმგებლობა თანამშრომლების წინაშე - ჯამური ქულის მაქსიმუმ 25%		
1. პოლიტიკა და სტრატეგია	თანამშრომლებთან დაკავშირებული პოლიტიკა და სტრატეგიები მკაფიოდ და კარგად არის ჩამოყალიბებული. პრიორიტეტული მიმართულებები რელევანტურადაა განსაზღვრული; კომპანიას აქვს საკითხისადმი თანმიმდევრული მიდგომა.	0-5 ქულა

2. აქტივობები	პროექტები/ინიციატივები/აქტივობები დივერსიფიცირებულია და მოიცავს თანამშრომელთა მიმართ პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხების უმეტესობას (პროფესიული განვითარება და განათლება, სოციალური დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ცხოვრებისა და სამუშაოს ბალანსი, კარგი სამუშაო გარემო და მოხალისეობაში თანამშრომლების ჩართვის შესაძლებლობა).	0-5 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი გაზომვადი შედეგები/შედეგები/პოზიტიური ცვლილება და გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა თანამშრომლების კეთილდღეობასა და კომპანიის საქმიანობაზე.	0-5 ქულა
4. მართვა	კომპანიაში არის ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემები; კომპანია ეწევა საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს მიღწეულ შედეგებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.	0-5 ქულა
5. ჩართულობა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია	თანამშრომლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აშკარაა; დანერგილია მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლების თანამონაწილეობას და მათი მოსაზრებების გათვალისწინებას.	0-5 ქულა
III. პასუხისმგებლობა ბაზარზე – ჯამური ქულის მაქსიმუმ 25%		
1. პოლიტიკა და სტრატეგია	პოლიტიკა და სტრატეგიები მკაფიოდ და კარგად არის განვითარებული. პრიორიტეტული მიმართულებები/აქცენტირებული სფეროები რელევანტურადაა განსაზღვრული; კომპანიას აქვს საკითხისადმი თანმიმდევრული მიდგომა.	0-5 ქულა
2. აქტივობები	პროექტები/ინიციატივები/აქტივობები დივერსიფიცირებულია და მოიცავს ბაზარზე კეთილსინდისიერი საქმიანობის სხვადასხვა საკითხს. კომპანია პასუხისმგებლობით ეპყრობა თავის მომხმარებლებს, მომწოდებლებს, სხვა პარტნიორებსა და კონკურენტებს.	0-5 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი გაზომვადი შედეგები/შედეგები/პოზიტიური ცვლილება და გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა მიზნობრივ ჯგუფებსა და კომპანიის საქმიანობაზე.	0-5 ქულა
4. მართვა	კომპანიაში არის რელევანტური მართვის სისტემები; კომპანია ეწევა საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს მიღწეულ შედეგებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.	0-5 ქულა

5. ჩართულობა და დაინტერესებული მხარეების კომუნიკაცია	მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან იმართება კონსულტაციები და ისინი პროცესში არიან ჩართული.	0-5 ქულა
IV. საზოგადოების მხარდაჭერა - ჯამური ქულის მაქსიმუმ 25%		
1. პოლიტიკა და სტრატეგია	კომპანიას მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საზოგადოების მხარდაჭერასთან დაკავშირებული პოლიტიკა და სტრატეგია; პრიორიტეტული სფეროები რელევანტურადაა განსაზღვრული და პასუხობს საზოგადოების საჭიროებებს; კომპანიას აქვს საკითხისადმი თანმიმდევრული მიდგომა.	0-5 ქულა
2. აქტივობები	პროექტები/ინიციატივები/აქტივობები და მიდგომები არის სისტემური, ყოვლისმომცველი და ხანგრძლივ დროზე გათვლილი; გამოიყენება კომპლექსური მიდგომა (აქტივობების, ინვესტირებული რესურსებისა და სტრატეგიების თვალსაზრისით); წახალისებულია თანამშრომელთა მონაწილეობა.	0-5 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი გაზომვადი შედეგები/გაუმჯობესებები და გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა მიზნობრივ ჯგუფებსა და კომპანიის საქმიანობაზე.	0-5 ქულა
4. მართვა	კომპანია ზომავს თავისი საზოგადოებრივი პროგრამების ზეგავლენას სამიზნე ჯგუფებზე, ეწევა საქმიანობის მონიტორინგს და ზრუნავს გაუმჯობესებაზე.	0-5 ქულა
5. ჩართულობა და დაინტერესებული მხარეების კომუნიკაცია	დაინტერესებულ მხარეებთან იმართება კონსულტაციები და ისინი არიან პროცესებში ჩართული; აშკარაა თანამშრომლობა და პარტნიორული მიდგომები.	0-5 ქულა

ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები			
0 -1 ქულა:	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	3-4 ქულა	საკმაოდ კარგი
2 ქულა:	საშუალო	5 ქულა	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით